შემოსვლის თარიღი: 18/05/2022 წ — გასვლის თარიღი: 15/06/2022 წ

## დასკვნა

ქ. ბათუმში, იმედაშვილის ქ. №18-ში თანასაკუთრებაში არსებულ 519 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.28.09.014) მდებარე საცხოვრებელ ნაგებობათა ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ერთსართულიან ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. კონსტრუქციული ელემენტების სახეობიდან გამომდინარე ისინი მიეკუთვნებიან კაპიტალურობის IV ჯგუფს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ექსპლუატაციის ვადა შეადგენს 50 წელს, რაც დღეისათვის ამოწურულია, რადგან სავარაუდოდ აშენებიდან დღემდე გასულია 90 წელზე მეტი. ფიზიკურადაც შენობები ფაქტობრივად ამორტიზირებულია, ვინაიდან მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს (გარდა ახალ აშენებული ორსართულიანი შენობისა) განცდილი აქვთ მაღალი ფიზიკური და ასაკობრივი ცვეთა, აქედან გამომდინარე. მათი აღდგენა-გამაგრება გაუმართლებლად მიგვაჩნია და გარკვეული საფრთხის შემცველობის გამო შემდგომი ექსპლუატაცია მიზანშეწონილი არ არის.

დაწვრილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.